# დებულება

საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭოს შექმნისა და საქმიანობის შესახებ

## თავი I

## ზოგადი დებულებები

### მუხლი 1. დებულების მიზანი და მოქმედების სფერო

1.1. სამეთვალყურეო საბჭოს (შემდგომში „საბჭო“) შექმნის და საქმიანობის შესახებ დებულება (შემდგომში „დებულება“) ა(ა)იპ „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის - ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის“ (შემდგომში „ასოციაცია“) წესდებისა და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) საფუძველზე.

1.2. დებულების ნორმები არეგულირებს საბჭოს შექმნის პროცედურას, მისი დაკომპლექტების წესსა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

1.3. საბჭოს უფლებამოსილება და სტატუსი განისაზღვრება ამ დებულებით და ასოციაციის წესდებით.

## თავი II

## საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესი

### მუხლი 2. საბჭოს შექმნა

2.1. საბჭო იქმნება ასოციაციის მიერ კანონითა და წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების შესაბამისად განხორციელების კონტროლის მიზნით.

2.2. საბჭო შედგება შვიდი წევრისგან და აირჩევა ასოციაციის საერთო კრების მიერ ხუთი წლის ვადით, დამსწრე და/ან წარმომადგენლის მეშვეობით წარმოდგენილ წევრთა ხმების უმრავლესობით.

2.3. საბჭოს წევრი შეიძლება გახდეს ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის პროფესიული გამოცდილება მის მიერ ეფექტიანი საზედამხედველო ფუნქციების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ის ასოციაციის წევრი.

2.4. უფლებათა სხვადასხვა კატეგორიის მფლობელი ასოციაციის წევრები სამეთვალყურეო საბჭოში წარმოდგენილი უნდა იყვნენ სამართლიანად.

2.5. საბჭოს წევრების შრომა არ ანაზღაურდება, შრომა შესაძლებელია ანაზღაურდეს მხოლოდ ასოციაციის საერთო კრებაზე დამსწრე და/ან წარმომადგენლის მეშვეობით წარმოდგენილ წევრთა ხმების უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ასეთ შემთხვევაში, ანაზღაურება მოხდება ასოციაციის წესდების, „გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურებისა და წახალისების შესახებ“ დებულებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

2.6. საბჭოს არჩევნებში მონაწილეობისათვის, წევრობის კანდიდატი ვალდებულია საერთო კრების ჩატარებამდე არანაკლებ სამი დღით ადრე, კანდიდატობაზე წერილობითი განაცხადი წარუდგინოს ასოციაციის გამგეობას მატერიალური სახით, ან/და ასოციაციის ელექტრონულ ფოსტაზე contact@gca.ge გამოგზავნით.

2.7. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს საერთო კრებაზე დამსწრე და/ან წარმომადგენლის მეშვეობით წარმოდგენილი ხმებიდან უფრო მეტ ხმას.

2.8. საბჭოს წევრად არ შეიძლება არჩეულ იქნას ასოციაციის გამგეობის წევრი/თავმჯდომარე.

2.9. საბჭოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება:

2.9.1. პირადი განცხადების საფუძველზე;

2.9.2. გარდაცვალებისას, აგრეთვე სასამართლოს მიერ გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების დროს.

2.9.3. სასამართლოს მიერ მისი ქმედუუნაროდ ცნობის ან მის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში;

2.9.4. იურიდიული პირის წევრობის შემთხვევაში, მისი ლიკვიდაციისას;

2.9.5. ასოციაციის გამგეობის წევრად არჩევის შემთხვევაში;

2.9.6. ასოციაციის საერთო კრების გადაწყვეტილებით, თუ საბჭოს წევრის ქმედება არ შეესაბამება წესდების და ამ დებულების მოთხოვნებს ან/და ეწინააღმდეგება ასოციაციის მიზნებს, აგრეთვე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის დროს.

2.9.7. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

2.10 საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, საბჭოს დანარჩენ წევრებს უნარჩუნდებათ უფლებამოსილება, უფლებამოსილების დარჩენილი ვადის შესაბამისად.

2.11 საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ვაკანტური ადგილის შევსება ხდება საბჭოს წევრის ასოციაციის საერთო კრებაზე არჩევით, საბჭოს დანარჩენი არჩეული წევრების უფლებამოსილების ვადით.

2.12 საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტით, წევრების რაოდენობის ოთხ წევრამდე შემცირების შემთხვევაში, ინიშნება ასოციაციის რიგგარეშე საერთო კრება და საბჭოს ახალი არჩევნები. საბჭო ვალდებულია აღნიშნული ფაქტის შესახებ, ფაქტის დადგომიდან ათი დღის ვადაში აცნობოს ასოციაციის გამგეობას/თავმჯდომარეს, რომელიც ვალდებულია დანიშნოს ასოციაციის საერთო კრება, ასეთი მიმართვის თარიღიდან არაუგვიანეს ორი თვისა.

2.13 საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, აღნიშნული ფაქტის დადგომიდან ათი დღის ვადაში, საბჭოს წევრის მოწვევით ინიშნება საბჭოს რიგგარეშე სხდომა, რომელზეც აირჩევა საბჭოს ახალი თავმჯდომარე.

## მუხლი 3. საბჭოს საქმიანობა

3.1. საბჭოს საქმიანობაში შედის:

3.1.1. ასოციაციის მიერ კანონითა და წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების შესაბამისად განხორციელების კონტროლი;

3.1.2. ასოციაციის წევრების, ასევე, იმ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის, რომლის უფლებებსაც ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულების საფუძველზე მართავს ასოციაცია, მომართვიდან გამომდინარე: ჩართულობის, დახმარების ან/და დავის გადაწყვეტა ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება ასოციაციის აკრედიტაციას, ხელშეკრულების შეწყვეტას ან უფლებების გამოთხოვას, წევრობის პირობებს, აგრეთვე ჰონორარის შეგროვებას, განაწილებას ან/და მიზნობრივ დაქვითვებს;

3.1.3. ასოციაციის არაწევრი პირების, რომელთა უფლებების ან უფლებათა კატეგორიების მართვასაც ახორციელებს ასოციაცია, მომართვიდან  გამომდინარე: ჩართულობის, დახმარების ან/და დავის გადაწყვეტა ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება  ჰონორარის შეგროვებას, განაწილებას ან/და მიზნობრივ დაქვითვებს;

## მუხლი 4. საბჭოს წევრის უფლება-მოვალეობები

4.1. საბჭოს წევრი უფლებამოსილია:

4.1.1. სრულად ჩაერთოს დებულებით გათვალისწინებულ საბჭოს საქმიანობაში;

4.1.2. ისარგებლოს ხმის უფლებით საბჭოს სხდომაზე;

4.2. საბჭოს წევრი ვალდებულია:

4.2.1. საერთო კრებას წარუდგინოს ინფორმაცია არსებული ან სავარაუდო ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, რომელმაც სამომავლოდ შეიძლება შეაფერხოს მის მიერ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელება;

4.2.2. დაესწროს საბჭოს სხდომებს;

4.2.3. მონაწილეობა მიიღოს დებულებით გათვალისწინებული საკითხების განხილვა-გადაწყვეტაში;

4.2.4. დაიცვას ასოციაციის წესდებისა და ამ დებულების მოთხოვნები.

## მუხლი 5 საბჭოს სხდომა

5.1. საბჭოს სხდომები იმართება საჭიროებისამებრ, როგორც ფიზიკურად შეკრების, ასევე დისტანციური წესით, ელექტრონული კომუნიკაციის მეშვეობით.

5.2. ახლად არჩეული საბჭო პირველ სხდომას მართავს არჩევიდან ერთი თვის განმავლობაში.

5.3. საბჭოს სხდომა მოიწვევა საბჭოს წევრის ან საბჭოს თავმჯდომარის მიერ.

5.4. საბჭოს სხდომის მოწვევის შესახებ საბჭოს წევრებს ეცნობებათ სხდომის ჩატარებამდე არანაკლებ ერთი კვირით ადრე ელექტრონული კომუნიკაციის გზით, დღის წესრიგის მითითებით.

5.5. საბჭოს სხდომის დღის წესრიგი განისაზღვრება სხდომის მომწვევი პირის მიერ.

5.6. საბჭო, პირველივე სხდომაზე მისი შემადგენლობიდან, მისი უფლებამოსილების ვადით, ირჩევს საბჭოს თავმჯდომარეს.

5.7. თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს საბჭოს ნებისმიერ წევრს.
5.8. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:
5.8.1. ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელობას;
5.8.2. ასოციაციის საერთო კრებას წარუდგენს ანგარიშს საბჭოს საქმიანობის შესახებ;
5.8.3. ხელმძღვანელობს საბჭოს სხდომებს და ნიშნავს სხდომის მდივანს;
5.8.4. ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს, რომელიც არ ეწინააღმდეგება ასოციაციის წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
5.9. საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება და/ან მასზე წარმომადგენლის მეშვეობით წარმოდგენილია საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი.
5.10. საბჭოს გადაწყვეტილებაუუნარობის შემთხვევაში, ორი კვირის ვადაში მოიწვევა განმეორებითი სხდომა, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა არანაკლებ სამი წევრი.
5.11. განმეორებით სხდომაზე კვორუმის მიუღწევლობის შემთხვევაში, ორი კვირის ვადაში კვლავ მოიწვევა განმეორებითი სხდომები იქამდე, ვიდრე სხდომის ჩასატარებლად არ იქნება კვორუმი მიღწეული.
5.12. საბჭოს თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
5.13. საბჭოს წევრი იურიდიული პირის შემთხვევაში, ხმის უფლებით სარგებლობს იურიდიული პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ან სპეციალურად ამ მიზნისათვის წარდგენილი პირი.
5.14. საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილებები მიიღება ღია ან ფარული კენჭისყრით. ფარული კენჭისყრის ჩატარებისათვის, სხდომაზე მიიღება ცალკე გადაწყვეტილება.
5.15. საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს სხდომაზე დამსწრე და/ან წარმოდგენილ წევრთა ხმების უმრავლესობით, რის შესახებაც დგება შესაბამისი ოქმი. ოქმს ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი. საწინააღმდეგო აზრის შემთხვევაში, თავის პოზიციას საბჭოს წევრი აფიქსირებს წერილობითი ფორმით, რაც დაერთვება საბჭოს გადაწყვეტილებას.
5.16. საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ხმების დაგროვების შეუძლებლობის შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია იმავე სხდომაზე ხელახლა უყაროს კენჭი განსახილველ საკითხს ან აღნიშნული ფაქტის დადგომიდან ათი დღის ვადაში, საბჭოს თავმჯდომარის/წევრის მოწვევით, დანიშნოს საბჭოს რიგგარეშე სხდომა, იმავე საკითხის გადაწყვეტის მიზნით. რიგგარეშე სხდომაზე გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში, ათი დღის ვადაში კვლავ მოიწვევა რიგგარეშე სხდომები იქამდე, ვიდრე განსახილველ საკითხზე არ იქნება გადაწყვეტილება მიღებული.
5.17. საბჭოს გადაწყვეტილება ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს.
5.18. დავის გადაწყვეტის პროცესში, საბჭოს უფლება აქვს, ასოციაციის გამგეობის წევრებს/თავმჯდომარეს და ნებისმიერ თანამშრომელს მოსთხოვოს ახსნა-განმარტებები. ამასთან, საბჭო ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებამდე შეისწავლოს ასოციაციის წლიური ანგარიში და საბუღალტრო დოკუმენტები.
5.19. საბჭო ვალდებულია ამ დებულების შესაბამისდ წარდგენილ ყველა საჩივარს ან მოთხოვნას უპასუხოს წერილობით. უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უნდა იყოს დასაბუთებული.
5.20. საბჭო ვალდებულია ამ დებულების შესაბამისად წარდგენილი მიმართვა განიხილოს დაუყოვნებლივ, არა უგვიანეს მიმართვიდან ექვსი თვის განმავლობაში.
5.21. საბჭო ვალდებულია ამ დებულების გათვალისწინებული დავა გადაწყვიტოს მხარეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და იმოქმედოს სამართლიანად და მიუკერძოებლად. დავის გადაწყვეტის პროცესის მონაწილე თითოეული მხარე ვალდებულია იმოქმედოს კეთილსინდისიერად.
5.22. ამ დებულებით გათვალისწინებული დავა შეწყდება, თუ:
5.22.1. მხარეებმა ხელი მოაწერეს მორიგების შეთანხმებას;
5.22.2. ნებისმიერი მხარე სამეთვალყურეო საბჭოს გაუგზავნის შეტყობინებას ნებისმიერ დროს, მას შემდეგ, რაც მიიღებს სამეთვალყურეო საბჭოს შეტყობინებას, რომ მხარეს აღარ სურს დავის გაგრძელება;
5.22.3. სამეთვალყურეო საბჭოს შეფასებით, საკითხი ვერ გადაწყდება ამ დებულების საფუძველზე წარმოშობილი დავის ფარგლებში, რის თაობაზედაც მხარეებს ეგზავნებათ დასაბუთებული წერილობითი შეტყობინება;
5.22.4. ამოიწურა საქმის წარმოებისთვის დაწესებული თავდაპირველი და დამატებითი ვადები, რის თაობაზედაც მხარეებს ეგზავნებათ წერილობითი შეტყობინება.
5.23. ამ დებულების შესაბამისად დავის განხილვა არ ართმევს მხარეს უფლებას, მიმართოს სასამართლოს.

## მუხლი 6. საბჭოს ანგარიშვალდებულება

6.1. საბჭო ანგარიშვალდებულია ასოციაციის საერთო კრების წინაშე.

6.2. საბჭო ვალდებულია საქმიანობის ანგარიში წარადგინოს ასოციაციის საერთო კრებაზე, სულ მცირე წელიწადში ერთხელ.

6.3. არაგეგმიური ანგარიშის წარსადგენად, რიგგარეშე საერთო კრების მოწვევაზე გადაწყვეტილებას იღებს ასოციაციის გამგეობა/თავმჯდომარე, ასოციაციის წევრთა არანაკლებ ერთი მეათედის ან საბჭოს მინიმუმ ხუთი წევრის წერილობითი მიმართვის საფუძველზე. საერთო კრება ასოციაციის თავმჯდომარის/გამგეობის მოწვევით იმართება ასეთი მოთხოვნის თარიღიდან არაუგვიანეს ორი თვისა.

# თავი III

## მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

7.1. დებულება ძალაში შედის მისი დამტკიცების მომენტიდან.

7.2. საბჭოს საქმიანობის დეტალები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ დებულებით, რეგულირდება ასოციაციის წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობით.

7.3. დებულება უნდა განთავსდეს ასოციაციის ვებსაიტზე ან ნებისმიერი სხვა საშუალებით ხელმისაწვდომი გახდეს ასოციაციის წევრებისთვის მისი მიღებიდან ორი კვირის ვადაში.

7.4. დებულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა, ასევე მისი გაუქმება ხორციელდება იმავე წესით, რაც გამოიყენება დებულების მიღების დროს.

დამტკიცებულია ასოციაციის საერთო კრების მიერ.